

კურსების მოკლე აღწერა

აღრიცხვა

ACCT 5100 ფინანსური აღრიცხვა

კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, მსმენელს შეუძლია შეაფასოს საწარმოს წარმადობა, გაანალიზოს ფულადი სახსრების დენადობა და შეაფასოს ფინანსური მდგომარეობა. ეს კურსი მოიცავს ფინანსური აღრიცხვის ზოგად პრინციპებს, საფინანსო ტერმინოლოგიას, საფინანსო აღრიცხვის წესებს, მათ პრაქტიკულ გამოყენებას. ასევე კურსი განმარტავს დამოუკიდებელი აუდიტორების როლს.

ACCT 5150 მენეჯერული აღრიცხვა

კურსი იძლევა მენეჯერული აღრიცხვის თეორიისა და მისი პრინციპების გამოყენების ცოდნას. იგი მოიცავს მენეჯერული და ფინანსური აღრიცხვის ურთიერთდამოკიდებულებას. ისწავლება მენეჯერული აღრიცხვის საორგანიზაციო როლი მართვის პროცესში.

ACCT 5200 აღრიცხვა (საშუალო დონე)

კურსში უფრო გაშლილად არის მოცემული საფინანსო აღრიცხვის (ACCT 5100) საკითხები. განიხილება საფინანსო აღრიცხვის ფუნქციები და თეორია, ასევე ქონების გაზომვა/შეფასება.

ეკონომიკა

ECON 4101 შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში

ბიზნესის პრობლემატიკის გადაჭრაში ეკონომიკური პრინციპების პრაქტიკული გამოყენება. მოიცავს ცვალებადობის, პროგნოზირების, მოთხოვნის ანალიზის და კაპიტალის მართვის სფეროებს.

ECON 4102 ეკონომეტრიკა

შესავალი ეკონომეტრიკულ გაზომვებში; სტატისტიკის მიმოხილვა, თეორიული მოდელები, ეკონომიკურ მონაცემთა ანალიზი, პროგნოზირება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და ეკონომიკური ინფორმაციის პრეზენტაცია.

ECON 4103 პროგნოზირება

ეკონომიკური მიმართულებების მაკრო, მიკრო და რეგიონალურ დონეებზე პროგნოზირების თეორია და ტექნიკა. ეკონომეტრიკული/საპროგნოზო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება.

ECON 4104 გამოყენებითი ეკონომიკა

წარმოებაში ეკონომიკურ აზროვნებაზე დაფუძნებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები, კონცეფციები და ტექნიკა. მოიცავს ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, ფირმების საწარმოო გადაწყვეტილებებს, ფასების განსაზღვრის პრაქტიკას.

ECON 4105 გარდამავალი ეკონომიკა

კურსი ფოკუსირდება მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს ეკონომიკურ მოვლენაზე: სოციალისტური სისტემის ნგრევა და გეგმიურიდან – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ეკონომიკური ლიბერალიზაცია, ფინანსური სტაბილიზაცია, პრივატიზაცია და სამეწარმეო პოლიტიკის რეფორმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. განხილულია კორუფციისა და

არასათანადო მართვის გავლენა რეფორმებზე. საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა (IMF, World Bank, EBRD).

ECON 4106 გლობალიზაცია 21-ე საუკუნეში

კურსი წარმოაჩენს თანამედროვე სოციალური ცვლილებების გლობალურ ხასიათს. გლობალიზაცია განიხილება, როგორც მსოფლიოში სოციალური ცხოვრების სახეცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორი. კურსი დისციპლინათაშორისი ხასიათისაა, რომელიც მოიცავს სოციოლოგიურ, ანტროპოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა საკითხებს.

ECON 4107 სემინარი ეკონომიკაში

სემინარი განკუთვნილია მაღალი კურსების სტუდენტებისთვის. ის გულისხმობს დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის შესრულებას. კურსის დამთავრებისას, სემინარის ყოველი მონაწილე აკეთებს მოხსენებას შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ECON 4108 სტაჟირება-პრაქტიკა

სტუდენტებს ეძლევათ პროფესიული მუშაობის შესაძლებლობა კონკრეტულ ორგანიზაციაში, სადაც მოუწევთ მიღებული ეკონომიკური ცოდნის გამოყენება რეალურ სამუშაო სამყაროში.

ECON 4290 კვლევითი პროექტი

ეკონომიკური სწავლების შემაჯამებელი სამუშაო. სტუდენტებს ეძლევათ თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა ხელმძღვანელის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ.

ECON 5100 ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა

ეს კურსი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ისტორიულ განვითარებასა და ამჟამინდელ სტრუქტურასა და დინამიკას ეხება. სტუდენტები ეცნობიან ეკონომიკურ აზროვნებას, მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპებსა და გლობალური ვაჭრობის კონცეფციებს, როგორც ამერიკული ეკონომიკური სისტემის საფუძვლებს.

ECON 5108 საერთაშორისო ეკონომიკის საკითხები

სტუდენტები მოძიებენ მიმდინარე ინფორმაციას პრესისა და ინტერნეტის საშუალებით, რომლის საფუძველზე უნდა განსაზღვრონ საერთაშორისო ეკონომიკაზე ზემოქმედი უმთავრესი ფაქტორები.

ECON 5200 ევროკავშირის ეკონომიკა

ეს კურსი ევროკავშირის ეკონომიკის ისტორიულ განვითარებასა და ამჟამინდელ სტრუქტურასა და დინამიკას ეხება. სტუდენტები ეცნობიან ეკონომიკურ აზროვნებას, მიკრო და მაკროეკონომიკის პრინციპებსა და გლობალური ვაჭრობის კონცეფციებს, როგორც ევროპული ეკონომიკური სისტემის საფუძვლებს.

ECON 6100 თანამედროვე მიკროეკონომიკა

ეს არის მიკროეკონომიკის ანალიზის კურსი. მიკროეკონომიკა არის ეკონომიკური თეორიის განშტოება, რომელიც ცდილობს ახსნას ინდივიდუალური ეკონომიკური ერთეულის ქმედების ხასიათი. ეს თავის მხრივ რიგი საკითხების ახსნის საშუალებას იძლევა. ამ კურსში ყურადღება ორ ასეთ საკითხზეა გამახვილებული: ბაზრები და ორგანიზაციები.

ECON 6150 თანამედროვე მაკროეკონომიკა

კურსი მოიცავს საერთო შემოსავლების, დაქირავების, ინვესტიციების, ფასების დონეების შემადგენელი ნაწილებისა და გაზომვის თეორიულ ინსტრუმენტებს. გამოიყენება სოფისტიკური და კომპლექსური ანალიზი. განიხილება სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების იდეოლოგია.

ECON 6300 მენეჯერული ეკონომიკა I

კურსი ფოკუსირებულია გადაწყვეტილებების მიღებაზე ბიზნესის სფეროში. აგებულია კონრეტულ მაგალითებზე და მოიცავს მოთხოვნა-მიწოდების საბაზისო თეორიასა და მარგინალურ ანალიზს.

ECON 6320 მენეჯერული ეკონომიკა II

ბიზნესის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებიდან იმ პრინციპებისა და კონცეფციების ინტეგრირება, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე და ინდივიდუალური ფირმის პოლიტიკის შემუშავებაზე. კურსი სტუდენტებს აძლევს მოწინავე ეკონომიკური თეორიის ცოდნას, რაც თავის მხრივ გულისხმობს მაღალი რანგის მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტებისა და ტექნიკის დაუფლებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოცდამეერთე საუკუნის ზეკონკრენტულ ბიზნეს-გარემოში წარმატების მისაღწევად.

ECON 6420 გამოყენებითი ეკონომეტრიკა

კურსის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტებისთვის ეკონომეტრიკული მოდელების ახსნა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კურსის მეორე მიზნიდან გამომდინარე: სტუდენტება უნდა შესძლოს შეაფასონ უკანასკნელი ემპირიული კვლევები. კურსის მესამე მიზანია პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი კვლევების შესასრულებლად მიკრომონაცემების გამოყენებით.

ECON 6450 თანამედროვე ეკონომიკური მოდელირება

კურსის დანიშნულებაა სტუდენტებს გავაცნოთ მათემატიკური მეთოდები, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური პრობლემატიკის გადაჭრაში. კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტებმა უნდა შეძლონ ეკონომიკური პროცესები ეკონომიკური მოდელირება

ECON 6500 ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

კურსი ეხება ძველ აზროვნებას და მის გავლენას თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებზე. კურსი იძლევა ცოდნას ეკონომიკური აზროვნების ძირითად თემებზე და მათ ისტორიულ წარმომავლობაზე.

ECON 6600 სოციალური უზრუნველყოფა ევროპასა და აშშ-ში

კურსი ანალიზებს ხანშიშესული პოპულაციის მომზადების სტრატეგიას ევროპასა და აშშ-ში. სოციალური უზრუნველყოფა არის სადაზღვევო პროგრამა, რომელიც ეხება როგორც პენსიონერებს, ასევე შრომის უნარს მოკლებულ ადამიანებს, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული.

ECON 6620 ეკონომიკა და ბიზნეს-სამართალი

კურსის დანიშნულებაა გააცნოს მსმენელი ეკონომიკური ანალიზის გამოყენებას სამართლებრივ კვლევებში; ბიზნეს-სამართალი, კონტრაქტები, საგადასახადო კოდექსი და გარემოს დაცვის კანონმდებლობა.

ECON 6650 პროგნოზირება ეკონომიკასა და ფინანსებში

შესავალი კურსი ეკონომიკისა და ფინანსების პროგნოზირებაში. სტუდენტები შეისწავლიან: მაკროეკონომიკურ პროგნოზირებას. მოკლედ განიხილება ექსპონენციალური მიახლოების მეთოდები. შეისწავლება უკანასკნელი თეორიული და ემპირიული კვლევები.

ECON 6720 სასტუმროებისა და ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკა

კურსი მოიცავს ტურიზმის აქტივების თეორიას, ხარჯისა და მოგების ანალიზს, საგადასახადო პოლიტიკის გავლენასა და ტურიზმის სხვა ეკონომიკურ და სტატისტიკურ ასპექტებს. კურსი

შეისწავლის კვლევებს, რომლებიც მიმართულია სასტუმროებისა და ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური ზეგავლენის ანალიზზე.

ECON 6900 შემაჯამებელი სემინარი ეკონომიკაში

შემაჯამებელი სემინარი ეკონომიკაში თავს უყრის წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი ეკონომიკური, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა.

ფინანსები

FINA 5100 ფინანსები

კურსის მიზანია ფირმების მიერ ფინანსური გადაწყვეტილების მიღების თეორიის შესწავლა და იმ კაპიტალის ბაზრების ქცევის განხილვა, სადაც ეს გადაწყვეტილებები მიიღება. სრულყოფილი და არასრულყოფილი ბაზრები; ფასიანი ქაღალდების თეორია; ობლიგაციათა ბაზარი; არაბრუნვადი აქტივების ფასების მოდელირება; ეფექტიანი ბაზრები და ა.შ.

FINA 6100 ფინანსური მენეჯმენტი

ეს კურსი ორ მიზანს ემსახურება. ეს არის შესავალი კორპორატიულ ფინანსებში და იძლევა კორპორაციების მიერ ინვესტირებისა და საფინანსო გადაწყვეტილებების განმარტვისა და ანალიზის საშუალებას. ასევე კურსი განმარტავს საინვესტიციო არის კონკრეტულ საკითხებს, რაც მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ წარმოიქმნება ფასები და როგორ მოქმედებს ბაზარი. კურსი ზედმიწევნითი და ანალიტიკურია. კურსის მიზანია სტუდენტთა აღჭურვა თანამედროვე საფინანსო თეორიის ფუნდამენტური კონცეფციებით.

FINA 6200 ინვესტიციები

კურსი მოიცავს კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირების კვლევას. როგორ დგინდება საინვესტიციო ინსტრუმენტების ფასები, როგორ მიიღწევა რისკისა და ამონაგების ბალანსი.

FINA 6250 ფინანსური აქტივების შეფასება

ფინანსური აქტივების შეფასების კვლევები, წილი, დივიდენდები და მოგება. საინვესტიციო და საწარმოთა დაფინანსების ყველაზე უფრო გავრცელებული საფინანსო პოლიტიკების ანალიზი. მსჯელობა დაფინანსების ტიპურ სამენეჯერო პრობლემებზე. აქტივებისა და ბაზრების კვლევა მოიცავს: *inter alia*, სავალუტო ბაზარი, კაპიტალის ბაზარი, ამორტიზებული აქტივები, უძრავი ქონება, საქონელი, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, ფული.

FINA 6300 მოდელირება ფინანსებსა და დაზღვევაში

ფინანსური რისკების ტიპები, რომელთაგანაც დაზღვევის პროფესიონალებს დღესდღეობით უწევთ ურთიერთობა, მომდინარეობს როგორც აქტივებიდან ისე ვალდებულებებიდან. ეს ამ კურსის მასულებით მსმენელი გაეცნობა რისკის მართვის რამოდენიმე მოდელს, რომელთა საშუალებით სადაზღვევო სფეროს პროფესიონალებს ძალუძთ გაზომონ და მართონ რისკის ცალკეული წყარო.

FINA 6500 ოპერატიული ვაჭრობა ა.შ.შ.-ის საფინანსო ბაზრებზე

ფინანსური საშუალებებით (აქციები, ობლიგაციები, საქონელი, ვალუტა და ა.შ.) ოპერატიული ვაჭრობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიმოხილვა.

FINA 6600 ფული და საბანკო საქმე

ეს კურსი წარმოაჩენს ფულის როლს ეკონომიკაში და საფინანსო ინსტიტუტებისა და ბაზრების ფუნქციებს. განიხილება საფინანსო თეორია და რეგულირებისა და კონტროლის ფუნქციები.

FINA 6700 დაზღვევა

ამ კურსის მიზანია დაზღვევისა და რისკის მართვის საფუძვლების სამუშაო ცოდნის მიწოდება სტუდენტებისთვის.

FINA 6800 სამეწარმეო ფინანსები და სარისკო კაპიტალი

ეს კურსი წარმოაჩენს ძირითად სამეწარმეო კონცეფციებს. განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან კარიერაზე სამეწარმეო საქმიანობაში და მარალი ტექნოლოგიების სფეროში. კურსი აგებულია კონრეტული მაგალითების საფუძველზე.

FINA 6900 შემაჯამებელი სემინარი ფინანსებსა და საბანკო საქმეში

შემაჯამებელი სემინარი ფინანსებსა და საბანკო საქმეში თავს უყრის წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა ფინანსებსა და საბანკო საქმეში.

სასტუმროებისა და ტურიზმის მენეჯმენტი

HOST 5000 შესავალი სასტუმროების ინდუსტრიაში

ეს კურსი სტუდენტებს აცნობს სასტუმროების ინდუსტრიას. ის ფოკუსირებულია ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებებზე. მოიცავს სარესტორნო ბიზნესსა და ოპერაციებს. საზოგადოებრივი კვების მომსახურება; საყოფაცხოვრებო მრეწველობა; სასტუმროთა ტიპები და მომსახურების სახეები; მოგზაურობისა და ტურიზმის მიმოხილვა.

HOST 5500 სასტუმროებისა და ტურიზმის მარკეტინგი

სასტუმროებისა და ტურიზმის მარკეტინგი არის მარკეტინგის კონცეფციების, შესაბამისი მეთოდებისა და ტექნიკის კვლევა. ის მოიცავს ბაზრის შესაძლებლობების ანალიზს; ბაზრების სეგმენტაცია და მიზნობრივი ბაზარი; მარკეტინგული ინფორმაცია და მარკეტინგული კვლევა; მარკეტინგული სტრატეგია; მარკეტინგული დაგეგმვა და ორგანიზება; მომსახურების ფუნქციონირება და მარკეტინგი; ფასი და პროდუქტი; დისტრიბუცია; რეკლამირება; განვითარება და სამარკეტინგო კავშირები.

HOST 6720 სასტუმროებისა და ტურიზმის ეკონომიკა

ეს კურსი მოიცავს ტურიზმის ქონების თეორიას, ხარჯისა და მოგების ანალიზს, საგადასახადო პოლიტიკის გავლენას და ტურიზმის სხვა ეკონომიკურ და სტატისტიკურ ასპექტებს (იგვე რასაც ითვალისწინებს ECON6720).

HOST 6800 მართვა სასტუმროებისა და ტურიზმის ბიზნესში

კურსი მოიცავს სასტუმროების ინდუსტრიის განვითარების ისტორიას; ადმინისტრაციას; ადმინისტრაციულ-სამეურნეო მენეჯმენტს; დაცვას; მარკეტინგს და გაყიდვებს; საინჟინრო და ადამიანურ რესურსებს; საკვებისა და სასმელი პროდუქტების განყოფილებას; კონტრაქტებისა ფრენშიზის მართვას; კურორტებს და სპეციალურ სახლმოწყობას.

HOST 6850 სასტუმროებისა და ტურიზმის ხარისხი და მომსახურება

კურსი აცნობს სტუდენტებს მომსახურებისა და მომხმარებლის კონცეფციებს. მაქსიმალური მოგების მიღებას ხარისხის ხარჯზე; მომსახურების კლასიკური სტილი, ისევე როგორც უფრო თანამედროვე მომსახურების ტექნიკა. მომსახურების როლი ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროში.

HOST 6930 შემაჯამებელი სემინარი სასტუმროებისა და ტურიზმის მენეჯმენტში

შემაჯამებელი სემინარი სატუმროებისა და ტურიზმის მენეჯმენტში თავს უყრის წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა სატუმროებისა და ტურიზმის მენეჯმენტში.

მენეჯმენტი

MGMT 4170 სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები

გლობალურ გარემოში მენეჯერებსა და ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. კურსი ზოგადად მიმოიხილავს კორპორატიული სტრატეგიის განვითარების სხვადასხვა გზებს.

MGMT 5100 მენეჯმენტი

ეს კურსი მენეჯერული ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პრინციპების, ტექნიკისა კონცეფციების შესწავლის მიზანს ემსახურება. ყურადღება მახვილდება დაგეგმვის, ორგანიზების, რესურსების მოზიდვის, ხელმძღვანელობისა და შეფასების ფუნქციებზე.

MGMT 5400 ბიზნესის ეთიკა

კურსი მოიცავს ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთზეგავლენისა და ეთიკური და მორალური მრწამსის ანალიზს; ბიზნეს-ეთიკის კონცეფციებს; განიხილება ბიზნესთან დაკავშირებული უმთავრესი ეთიკური საკითხები; მოიცავს დისკუსიებს მორალის ფილოსოფიაზე კლასიკურ და თანამედროვე ეთიკის ტეორიებზე დაყრდნობით.

MGMT 5600 სტრატეგიული მენეჯმენტი

ეს კურსი აერთიანებს სტრატეგიასა და ბიზნესის პოლიტიკას. გლობალურ გარემოში მენეჯერებსა და ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. კურსი ფოკუსირებულია მომგებიან სტრატეგიებზე და აძლევს სტუდენტებს წარმოდგენას კორპორატიული სტრატეგიის განვითარების სხვადასხვა გზებზე.

MGMT 5700 მენეჯმენტი და მარკეტინგი

სტუდენტები სწავლობენ მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდებს. კურსი მსმენელს თავაზობს მენეჯმენტის სხვადასხვა თეორიასა და სამენეჯერო პრაქტიკის წარმატებულ მაგალითებს დაგეგმვის, ორგანიზების, რესურსების მოზიდვის, ხელმძღვანელობისა და შეფასების სფეროებიდან. კურსის მსვლელობისას სტუდენტებმა უნდა მოამზადონ ბიზნეს-გეგმები და სამარკეტინგო გეგმები.

MGMT 5800 სამუშაო ძალის დაგეგმვა და მუშახელის დაქირავება

კურსი მოიცავს სამუშაო ძალის დაგეგმვას, მუშახელის დაქირავებას, განვითარებას, ადმინისტრირებას, მუდმივ შეფასებას, პროფესიულ ორიენტაციას.

MGMT 5900 საერთაშორისო ბიზნეს-სამართალი

კურსი ფოკუსირებულია გლობალური ბიზნესის საერთაშორისო წესებზე. სტუდენტები შეისწავლიან თუ როგორ იცვლება წესები პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მიხედვით. მათ უნდა გააცნობიერონ თუ როგორ უნდა წარმართონ ბიზნესი ასეთ დინამიურ გარემოში.

MGMT 6200 ოპერაციათა მართვა

მათემატიკური მოდელირება და რაოდენობრივი მეთოდები, ალბათობის თეორიის საფუძვლები, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები, წრფივი პროგრამირების მეთოდები, ოპტიმიზაციის მეთოდები. გარდა თეორიული ცოდნისა, სტუდენტები შეისწავლიან ტრანსპორტირების, ქსელური მოდელირების, რესურსების ოპტიმალური განაწილების პრაქტიკულ ამოცანათა გადაჭრას.

MGMT 6250 ოპერაციათა კვლევა

კურსი მოიცავს ოპერაციათა კვლევის თეორიასა და პრაქტიკას. ასეთ კვლევებში გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტებად გამოიყენება მათემატიკური და კომპიუტერული მეთოდები. ოპერაციათა კვლევები ფართოდ გამოიყენება ისეთი თანამედროვე სფეროებში, როგორცაა საკომუნიკაციო ქსელის მართვა, ბიოინფორმატიკა, ენერჯის და გარემოს პოლიტიკა და ა.შ.. კურსი ფოკუსირებულია მათემატიკური პროგრამირების ტექნიკაზე: წრფივი პროგრამირება, ოპტიმიზაცია, თამაშთა თეორია.

MGMT 6300 ადამიანური რესურსების მართვა

კურსი ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი პრინციპებისა და ცნებების, სამუშაოს ანალიზისა და პროფესიული შერჩევის მეთოდების შესწავლას. კურსი ასევე მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების, როგორც ავტომატური საძიებო სისტემის საფუძვლის გაცნობას.

MGMT 6310 კომპენსაციები და შეღავათები

მოიცავს საკომპენსაციო და საშეღავათო სისტემის ანალიზის, განვითარების, დანერგვის, ადმინისტრირებისა და უწყვეტი შეფასების პროცესებს, ადამიანური რესურსების მართვის მიზნებთან შესაბამისობაში.

MGMT 6320 დამქირავლებისა და მუშაკთა ურთიერთობები

მოიცავს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობების (კოლექტიური მოლაპარაკებებისა და პროფკავშირებთან ურთიერთობის ჩათვლით) ანალიზის, განვითარების, დანერგვის, ადმინისტრირებისა და უწყვეტი შეფასების პროცესებს, დამქირავებლის საჭიროებებისა და დაქირავებულის უფლებების დაბალანსების მიზნით.

MGMT 6330 პროფესიული ჰიგიენა, უსაფრთხოება და დაცვა

მოიცავს პროგრამების, პრაქტიკის და მომსახურების ანალიზის, განვითარების, დანერგვის, ადმინისტრირებისა და უწყვეტი შეფასების პროცესებს, მუშაკთა ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფისა და დაუცველი სამუშაო პირობების თავიდან აცილების მიზნით.

MGMT 6340 კონფლიქტები და მოლაპარაკებები

მოლაპარაკებების ეფექტიანად წარმართვა და კონფლიქტების მართვა კრიტიკულია მენეჯერისთვის. კურსი მოიცავს მოლაპარაკების წარმართვის პრაქტიკის, უნარებისა და სტრატეგიების შესწავლას, ასევე სხვადასხვა სიტუაციებში კონფლიქტების მართვას.

MGMT 6350 ფსიქომეტრიკა

კურსი მოიცავს ფსიქოლოგიური ფაქტორების გაზომვის ინსტრუმენტებს, რომლებიც ადამიანური რესურსების მართვაში გამოიყენება. სტუდენტები გაეცნობიან როგორც ფსიქომეტრიკის განვითარების ისტორიას, ასევე თანამედროვე სატესტო მეთოდებს, მათი გამოყენების სფეროებსა და წესებს. ტესტების ტიპებსა და მათი შექმნის პროცედურებს.

MGMT 6360 სამუშაოს ანალიზი და კომპეტენციების განსაზღვრა

კურსი მოიცავს: სამუშაოს ანალიზის ოთხ ტექნიკას; სამუშაოს აღწერის შედგენას; საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას. იდეალური მუშაკის პროფილის გამოყენებას კადრების შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესებში.

MGMT 6360 სამუშაოს ანალიზი და კომპეტენციების განსაზღვრა

კურსი მოიცავს: სამუშაოს ანალიზის ოთხ ტექნიკას; სამუშაოს აღწერის შედგენას; საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას. იდეალური მუშაკის პროფილის გამოყენებას კადრების შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესებში.

MGMT 6700 შერჩევა და დაქირავება

ეს კურსი სტუდენტებს შეასწავლის ადამიანური რესურსების შერჩევის ტექნიკას: საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, ვაკანსიის გამოცხადება, შესაბამისი პროცედურების (ტესტირება, პიროვნულობის საკვლევი კითხვარები, გასაუბრება) მომზადება, ადმინისტრირება, შედეგების ათვლა და ინტერპრეტაცია.

MGMT 6600 გლობალური ბიზნეს-გარემო

ეს კურსი არის საერთაშორისო ბიზნესის ვრცელი მიმოხილვა და იძლევა საფუძვლებს შემდგომი სპეციალიზაციისათვის. ფოკუსირდება გლობალიზაციაზე, საერთაშორისო ფირმების იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კონფიგურაციაზე, რომელიც საზღვართშორისი კომერციის განვითარებას უწყობს ხელს.

MGMT 6700 სამეწარმეო სტრატეგია

კურსი გააცნობს წარმატებული მცირე ბიზნესის წამოწყების ან შექმნის, ოპერირების, დაფინანსებისა და მარკეტინგის პრობლემებს. კურსი აგებულია პრატიკული ბიზნესის ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტულ მაგალითებზე.

MGMT 6720 ბიზნეს-ინკუბატორი

სტუდენტები გეგმავენ და ოპერირებენ ბიზნეს-ინკუბატორის მოდელს. ბიზნეს-ინკუბატორი იქმნება ორგანიზაციის ეკონომიკური განვითარების მიზნით, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს სამეწარმეო საქმიანობის ზრდასა და წარმატებას. მოდელი მოიცავს ფართს, კაპიტალს, კონრეტულ მომსახურებას, საოპერაციო ქსელს. მისი დანიშნულებაა წარმატებული, ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი ფირმების შექმნა.

MGMT 6900 შემაჯამებელი სემინარი მენეჯმენტში

შემაჯამებელი სემინარი მენეჯმენტში თავს უყრის წინა ეტაპზე შექმნილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა მენეჯმენტში.

MGMT 6910 შემაჯამებელი სემინარი საერთაშორისო ბიზნესში

შემაჯამებელი სემინარი საერთაშორისო ბიზნესში თავს უყრის წინა ეტაპზე შექმნილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა საერთაშორისო ბიზნესში.

MGMT 6920 შემაჯამებელი სემინარი სამეწარმეო მენეჯმენტში

შემაჯამებელი სემინარი სამეწარმეო მენეჯმენტში თავს უყრის წინა ეტაპზე შექმნილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა სამეწარმეო მენეჯმენტში.

MGMT 6930 შემაჯამებელი სემინარი ადამ. რესურსების მართვაში

შემაჯამებელი სემინარი ადამიანური რესურსების მართვაში თავს უყრის წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია მოცემული ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა ადამიანური რესურსების მართვაში.

მარკეტინგი

MKTG 4110 მარკეტინგული კვლევა

ზოგადად განიხილება მარკეტინგული კვლევის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მენეჯმენტში და მარკეტინგში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.

MKTG 4120 მარკეტინგის მენეჯმენტი

კურსი ეხება მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის დაგეგმვას, განხორციელებასა და კონტროლს. კურსი ფოკუსირებულია კონრეტულ მაგალითებზე.

MKTG 4130 მომსახურების მარკეტინგი

კურსი მიზანია მომსახურების მარკეტინგის საფუძვლებისა და პრობლემების ახსნა. ის გააცნობს მომსახურების სფეროს სპეციფიკას. მოკლედ განიხილება მომსახურების ადგილობრივი და უცხოური ბაზრები.

MKTG 4140 ელექტრონული კომერცია

კურსი განმარტავს ელექტრონული კომერციის არსს. მიმოიხილავს მოდელებს: ბიზნესი-ბიზნესი და ბიზნესი-მომხმარებელი. ახსნილია ე-კომერციისათვის დამახასიათებელი მარკეტინგის, მომსახურების, მომხმარებლების ქცევის, შესყიდვის მეთოდების დადაცული ტრანზაქციებისა და სხვ. სპეციფიკა.

MKTG 4500 შესავალი ტურიზმისა და სასტ. ბიზნესის მარკეტინგში

ზოგადად განიხილება სასტუმროებისა და ტურიზმის მარკეტინგული ინფორმაცია და კვლევა; მარკეტინგული სტრატეგია; მარკეტინგული დაგეგმვა და ორგანიზება.

MKTG 5200 მარკეტინგის ორგანიზება და მენეჯმენტი

კურსი ეხება შემდეგ მთავარ საკითხებს: მარკეტინგის არსი; სტრატეგიული დაგეგმვა და სიტუაციური ანალიზი; ბიუჯეტის შედგენა; ინფორმაციის მოძიება; საბაზრო სტრატეგია.

MKTG 5300 მომხმარებლის ქცევა

იმისათვის, რომ კომპანიები იყვნენ კონკურენტუნარიანი, აუცილებელია მენეჯერებს ესმოდეთ მომხმარებლის და ერკვეოდნენ მათ ქცევაში. კურსი სტუდენტებს აძლევს საქონლის შეძენისას მომხმარებლის მიერ არჩევანის გაკეთების ანალიზის ინსტრუმენტებს. სტუდენტები ეცნობიან მომხმარებლის ქცევაზე გავლენის კატეგორიების კონცეფციებს.

MKTG 5400 მარკეტინგული კვლევა

კურსში მოცემულია მარკეტინგული კვლევის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მენეჯმენტში და მარკეტინგში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

MKTG 6100 გლობალური მარკეტინგის სტრატეგია

კურსის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ საერთაშორისო მარკეტინგში წარმატებული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა უნარები. კურსის დამთავრების შემდეგ მათ უნდა შეძლონ

განსაზღვრონ, გაანალიზონ და გადაჭრან მარკეტინგული პრობლემები საერთაშორისო კონტექსტში.

MKTG 6900 შემაჯამებელი სემინარი მარკეტინგში

შემაჯამებელი სემინარი ადამიანური მარკეტინგში თავს უყრის წინა ეტაპზე შეძენილ ცოდნას. სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ პროექტებზე, რომელთა შესრულების დონე ცალსახად მიუთითებს თუ რამდენად საფუძვლიანია ინდივიდის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხის ცოდნა მარკეტინგში.

სტატისტიკა

STAT 5100 სტატისტიკა

კურსი ეხება გამოყენებით სტატისტიკას ბიზნესსა და ეკონომიკაში და სოციალური მეცნიერებების სხვა დარგებში. კურსი აწვდის სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების უნარს. ფოკუსირებულია მონაცემთა ორგანიზებაზე, ცენტრალური ტენდენციების გაზომვებზე, ალბათობისა და ალბათობის განაწილების კოცეფციებზე. ჰიპოტეზური ტესტირება, სტანდარტული გაზნევა, კორელაცია, რეგრესული ანალიზი.